


ხელმძღვანელი: ნანა სამხარაძე

გურიის არქეოლოგია

სულხან ხომერიკი
ოზურგეთის რაიონის
კ. მეგრელიძის სახელობის
სოფ. შრომის საჯარო სკოლის
IX კლასის მოსწავლე

საქართველოს ისტორიული კუთხე გურია, ძველი კოლხეთი და საზიკის სამეფოს ნაწილი, ჩემი მშობლიური კუთხეა. უძველესი კოლხების გენი დღესაც გვასულდგმულებს და სიამაყის გრძნობით განგვაწყობს. ამან განაპირობა ჩემი ინტერესი იმ არქეოლოგიური



ისტორიული კუთხე გურია ძველი კოლხეთი და
ლაზიკის სამეფოს ნაწილი

მასალებისადმი რომლებიც ნათლად ასახავს უძველესი კოლხების ყოფა-ცხოვრებას, საქმიანობას, მათ რწმენა-წარმოდგენებს.

ხშირად გურიის სოფლებში მიწის დამუშავების დროს გლეხები პოულობდნენ თიხის ჭურჭელს. ამის შესახებ აცნობდნენ არქეოლოგიური კვლევის ცენტრს. 1995 წელს გურიაში მიემგზავრება არქეოლოგიური ექსპედიცია ჩოხატაურის რ-ნის სოფელ ბუკისციხეში და სწავლობს არსებულ ვითარებას. ეს სოფელი მდინარე სუფსის მარჯვენა ნაწილზეა გაშლილი. ამ სოფლისათვის განსაკუთრებით

ყურადღება მიუქცევია აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს. ჯერ კიდევ 1964 წ. აქ მას უწარმოებია არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ამის შედეგად დასტურდება გვინა ბრინჯაოს და ადრერკინის ხანის კლტურები, არის ანტიკური ხანის ნაქალაქარი სამაროვანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია და სხვა.

ამჯერად ახალმა გათხრებმა აქ აღმოაჩინა ექვსი ქვევრსამარხი. მასში აღმოჩენილია თიხის ჭურჭლები და ბრინჯაოს სამკაულები.

ჭურჭელზე შეინიშნება ცეცხლზე გამოყენების კვალი მათგან აღინიშნება: ჯამები, თიხის კეცები, ცალყურა, დოქი, ქოთანი, სელადა. ისინი დამზადებულია გამომწვარი თიხისგან. სამკაულებისგან აღსანიშნავია სასაფეთქლეები, სამკაულები, მძივები.

გურიის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ქვევრსამარხების ერთეული შემთხვევები: სოფ. ჩიბათი, გოგორეთი. წინაფრის ქვევრსამარხში აღმოჩენილია:

თიხის დოქები, შავლაკიანი კანტაროსი, ბრინჯაოს ბეჭედი, სამაჯური და 4-ხი კოლხური მონეტა, ისინი გაცვეთილია, ერთ-ერთ მათგანზე ჩანს შუბლზე ადამინის თავი, ზურგზე – ხარის თავის გამოსხულება.



პალიასტომის თიხა-ტორფიან ქვედა ფენიდან
შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები



გუბაზეულის ხეობა

ეს ძველი დღეს დაზიანებულია. გადარჩენილია 1 მეტრის კულტურული ფენა, 4 შეფერილობის შრისაგან. არქეოლოგიური ნივთები ნაკლებია, მაგრამ სადგომის დათარიღების საშუალებას იძლევა ხელსაფქვაკი - „რიყის ქვის“, სასრესი რიყის ქვის, თიხის ჭურჭლის ნატეხები ხელით ნაძერწი და სუსტად გამოძწვარი, კერა ანუ ცეცხლის ნანთები ადგილი. ამ მასალით ეს სადგომი გვინა ენეოლითს მიაკუთვნებს. ის მსგავსად დასავლეთ საქართველოს სხვა მღვიმური ნამოსახლარისა ბუნებრივად დაცული და მიუდგომელია, ხშირად ასეთი ხელოვნურადაა ამოხერვნილი, მაგ: „საქაჯია, თეთრი მრვიმე, საწურბელა“³ და სხვა.

ნეოლით-ენეოლითური ხანის ძეგლები მრავლადაა გურიის მხარეში მაგ: ბახვში, ნავომარი, შრომა, ნატანები, ანასეული, ნარუჯა, გურიანთა, მამათა, ვაკიჯვარი, შემოქმედი.

სოფ. ხევში მდ. გუბაზეულის ხეობაში მიკვლეულია ახალი ქვის ხანის ნამოსახლარი. ამ უძველეს ნამოსახლარზე ნაპოვნია: ნუკლეუსების, დანების, საფხეკების

„ქვევრსამარხების კულტურის მატარებელი ადგილობრივი მოსახლეობა ჩანს. უცხოური, კერძოდ ელინური წესების გავლენა მხოლოდ და მხოლოდ სამარხში მონეტების ჩაყოლებამი თუ შეინიშნება.“¹


აქ აღმოჩენილი სამარხოვანის ეს ნაწილი ქვევრების თიხის ჭურჭლისა და შიგნიდან მოოქროველი მძივების მიხედვით მიეკუთვნება ძველი წ. II-I ათასწლეულებს.

ამ სოფელში „ვიზუალურად ვადასტურებთ ქვევრსამარხებს, დერგსამარხებს და ამფორასამარხების“² არსებობს.

ამავე ექსპედიციამ აწარმოა დაზვერვითი სამუშაოები გრიგოლეთ-შეკვეთილის ზღვისპირა ზოლში სოფ. შემოქმედში, ასკანაში.

მეტად საინტერესოა სოფ. ხიდისთავში აღმოჩენილი ენეოლითური ხანის სადგომი. იგი მდებარეობს მ. გუბაზეულის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან 200 მეტრზე.

კლოდოვან ფარდულში – ეხში. შვიდი ათასი წლის წინ შესახლებულა პირველყოფილი ადამიანი და საცხოვრებლად გამოუყენებია იგი.



კოლხური ცულები და თოხები სოფ. ლაითურიდან

¹ ნ. კილურაძე „ძეგლის ძეგლობარი“. გვ. 16

² გურია II „მხარის კვლევა-ძიების შედეგები“ გვ. 22

³ გურია II „მხარის კვლევა-ძიების შედეგები“ კ. კალამნდაძე გვ. 31




ქ. ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოსა და რკინის იარაღები

ნაწილები.კაჯის იარაღებიდან საყურადრებოა წვეტანისებრი იარაღები.ყველაზე სრულყოფილია შუბისპირი, ჩასართები, საჭრისები,გახეხილი ხელცულები, ორი ცალი ხელსაფეკვაი, აქ აღმოჩენილი მასალებით დგინდება რომ ძვ.წ. VIII-VII ათას. აქ ცხოვრობდა ადრემიწათმოქმედი მოსახლეობა, რომლის ძირითადი საქმიანობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა, შემგროვებლობა და მეთევზეობა უნდა ყოფილიყო.

მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა იყო ხანგრძლივი პროცესი. ნეოლითურ ძეგლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია I-II ნამოსახლარი ანასეულში. იგი მდებარეობს ანასეულის ბორცვზე. აქ ნაპოვნი იარაღები დამზადებულია კაჟის ქვისა და ოფსიდიანისგან. აქ ნაპოვნი ანატკეცი, კაჟის კაჭრები მიანიშნებს, რომ ნამოსახლარზე წარმოებდა ნედლეულისაგან იარაღების დამზადების სრული პროცესი. აქ ტრადიციულ იარაღებთან ერთად გვაქვს ახალი სახის იარაღები, ცულები, სათლელეები, სასრიალებლები,დანების ჩასართები. ღია ნეოლითურ ნამოსახლარზე ძვლოვანი მასალა არაა, რის მიზეზიც სუბტროპიკული ტენიანი ჰავაა, რომელიც სწრაფად შლის ძვალს. გვიანნეოლითური ძეგლია გურიანთის ნამოსახლარი. აქ მრავლადაა ჭურჭლის ფრანგმეტები ნაპოვნი. ამავე სახის ძეგლია მამათის ნამოსახლარიც. მოტანილი მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ დასავლეთ საქ-ოს ნეოლითური კულტურა ძვ.წ. IX –VII საუკუნეებს შორის ექცევა.

ამ მასალით დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარის გურიის ტერიტორიაზე ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული ადამიანის ცხოვრების უწყვეტი კვალია დადასტურებული. დგინდება კოლხეთის ძირითად ტერიტორიაზე კულტურათა თანმიმდევრული განვითარების პროცესში, რაც ბრინჯაოსა და შემდგომი ხანის მთელ მანძილზე გრძელდება.ყოველივე ამის გამო კოლხური კულტურა მოიცავს მთელ პალეოლითს, ენეოლითს, ბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურებს. ეს ესაშუალებას იძლევა კოლხური კულტურის ამიერკავკასიურ სხვა კულტურებთან განხილვისა.


კოლხური მეტალურგია პროდუქციის ტიპოლოგიური და ტექნიკური თვისებების მიხედვით საერთო ამიერკავკასიური და ტექნიკური მეტალურგიის განვითარების პროცესშია ჩაბმული. ხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანაში ყალიბდება საკუთრივ კოლხური ტიპის ნაკეთობები: კოლხური ცული, რომელიც მთელ კოლხეთის ტერიტორიაზე ვრცელდება.



კოლხური ცულები და სატყერები

ადრეული კერამიკის დიდი უმრავლესობა კოლხეთში შავკეციანია, შავპრიალა, კარგად მოგლუვებული, ორნამენტირებული ყურებით. შუა ბრინჯაოს დასრულებიდან ჩნდება ღია მოწითალო კეციანი კერამიკის ჭურჭელი. კარგად შეიმჩნევა ფორმის განვითარება.

დასავლეთ კოლხური ძეგლების კერამიკიდან ზოგიერთი ნიმუში თრიალეთურ



ბრტყელი ცული, სატევარი და შუბის პირი.
სოფ. შუხუთის გათხრებიდან

იმპორტად მიიჩნევა. ეს იმაზე მიუთითებს რომ კოლხეთის რეგიონის კონტაქტები თრიალეთურ კულტურასთან ხანგრძლივი იყო. ამას ხელს უწყობდა უმოკლესი გზის არსებობა. მაშასადამე საქართველოს დიდი წვლილი მიუძღვის კოლხური კულტურის ფორმირებაში.

უკანასკნელ ხანებში ფართო მაშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა: ნიგვზიანის ურეკის სამაროვანზე. აქ მოპოვებული მასალებიდან ყველაზე საინტერესოა სატევრებიც. ვიანბრინჯაოს და ადრე რკინის ხანით თარიღდება. კოლხური სატევრები განსხვავდებიან ფორმითა და პროპორციებით აღმოსავლური იარაღებისგან, ამიტომ მას „კოლხურ სატევრებს უწოდებენ“.

კოლხური ყუნწიანი სატევრები ჯერ ყალიბშია ჩამოსხმული, შემდეგ ნაჭედიან და ნალესი, მისი პირი 17-30 სმ-ია. კოლხეთში გვხვდება „ბრტყელსატარიანი“ სატევრები. ისინი არის როგორც ბრინჯაოს ისე რკინისაგან. ღვინის სატევრებში ხშირად მათი შემკობა ხდება ვერცხლის და ტყვიის ფურცლით.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მეტალურგიის განვითარების

ძირითადი მიზეზია ბუნებრივი რესურსები. ძლიერი საწარმო უნდა ყოფილიყო სუფსა-გუბაზეულის აუზში. მაგ: ნაგომარში მიკვლეულია მეტალურგიული კერის ნაწილი, ურეკში კი მოგვიანებით რკინას ღებულობდნენ, ცივბერვითი პროცესი, აქ ნაოვნია ლუგვი რკინის ფრანგმეტები. იგი ფენოვანი სახისაა. მისი ანალიზით დგინდება, რომ „რკინის მასის აღდგენითი პროცესი ცივბერვით კერაში, მაგნეტიტური მადნის გამოყენებით“ ხდებოდა.

გარდა სატევრებისა, იარაღებიდან დადასტურებულია შუბისპირი, კოლხური ცელები, ბრინჯაოს დანები, რკინის დანები. სამკაულებიდან ვხდებით ბრტყელ და მრგვაალგანივკვეთიან ბრინჯაოს სამკაულებს, საკინძებს ცხენის სკულპტურული გამოსახულებით, სარდიონის მძივებს. სამუშაო იარაღებიდან: ბრინჯაოს თოხები, რკინის დანები, რკინის ცელები, კერამიკა წარმოდგენილია ყურმილიანი ხელადებით, ქოთნებით, ჯამებით, სასმისით და დიდი ზომის ორყურა ჭურჭლით.

ამ პერიოდის კოლხურ ორმო სამარხებში, როგორც დავინახეთ საოცარ სიმრავლეს აღწევს სასოფლოსამეურნეო იარაღების რაოდენობა, ღირებულია სამკაულები, „სამარხორმოვებში არქეოლოგიური ინვენტარის ასეთი თვისობრივი ცვლილება ცენტრალიზებულ ხელისუფლების წარმოქმნის მანიშნებლად გვესახება“.¹

¹ რევაზ პაპუაშვილი გურია II, გვ. 74

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციიდან საინტერესოა ურეკში გათხრილი ორმო სამარხი. სამარხი და სამარხის გარეთ აკრეფილი ნივთები. მათ შორის მშვილდსაკინძები. ისინი სამი ტიპისაა: გვლური, ღრუ და ბრტყელი.

მშვილდოსაკინძების გაჩენა უნდა მიუთითებდეს სოციალურად უპირატესობის მქონე პირის სამარხებს.

გურიაში, ლანჩხუთის სოფ. შუხუთში 1961 წ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა აბანო მოზაიკური იატაკით. ეს აბანო რომაული აბანოების რიგს მიეკუთვნება. მისი ცხელი ნაწილი ორბისიდიანია. მას ეკვრის მოზაიკური იატაკით გასათხრელი ოთახი. აბანო კერძო პირის უნდა იყოს. ამის შესახებ მოსაზრება ჯერ კიდევ თედო სახოკიამ გამოთქვა თავის ნაშრომში „მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“.

აბანოს მართკუთხა ბოლო ოთახი წარმოადგენდა ცივ განყოფილებას. იატაკზე



შუხუთის რიყის ქვით და აგურით აგებული
გალავნის ნაშთი

აღნიშნული ორნამენტი ჩარჩოს გარეშეა. კვადრატულ არეებში ჩახაზულია; თეთრი, მწვანე, მოშაო, ყვითელი და წითელი ფერის კენჭებით აწყობილი ორნამენტები. მასში ჩართულია ტოლფერდა ჯვარიც ამ ნიმუშებიდან ჩანს, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ გააღვივა მათი თვითმყოფადი, ორიგინალური მხატვრულ-სახეობითი აზროვნება“.

შუხუთის აბანო IX ს. ძეგლს წარმოადგენს. შუხუთში ექსპედიციამ მიაგნო ადრერკინის-რკინის ათვისების ნამოსახლარს. იგი ტერასულია, ნაპოვნია ქვევრისა და დერგის ნატეხები. შემადგენელ ზეგანზე ნაპოვნია რიყის ქვით და აგურით აგებული გალავნის ნაშთი. მის შიგნით მრავალი ნაგებობის ნაშთიც შეინიშნება.

დალაქური ტიპის დასახლება შიდაციხით და ეკლესიით დასტურდება სოფ. გურიანთაშიც.

მაშასადამე ისტორიული კუთხე გურია, რომელიც არის საქართველოს ორიგინალური ნაწილი და ქართველ ტომთა სამშობლო არასოდეს არ იყო ცალკე ერთეული. იგი ვითარდებოდა აღმოსავლეთ ნეოლით-ენეოლითთან,

ადრებრინჯაოს ხანის კულტურებთან ერთად და საბოლოო ჯამში ქმნიდა ერთიან უძველეს ქართულ კულტურას.